ევროკავშირი საქართველოსთვის

ევროკავშირი

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

თანადაფინანსებულია და ხორციელდება ევროპის საბჭოს მიერ

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

რეგიონული პროექტი: ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის სტანდარტების განხორციელება

აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს იმ სისტემური ბარიერების წინააღმდეგ ბრძოლასა და აღმოფხვრას, რომლებსაც ქალები აწყდებიან მართლმსაჯულებაზე წვდომისას. ეს მოიცავს როგორც სამართლებრივ, ისე ინსტიტუციურ გამოწვევებს, ასევე სოციალურ-კულტურულ ბარიერებს, რომლებიც გენდერული მიკერძოების სახით ვლინდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მართლმსაჯულების სისტემებში.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის - პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის - მესამე ფაზის ფარგლებში. იგი ეფუძნება ამავე პროგრამის პირველი და მეორე ფაზების შედეგებს, ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში (I ფაზა: 2015-2018; II ფაზა 2019-2023).

პროექტის მიზნებია:

- მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის განმტკიცება ქალებისთვის, განსაკუთრებით ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, ამ სფეროში არსებული ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად.

ვინ ისარგებლებს პროექტით?

- ძალადობის მსხვერპლი ქალები;
- მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები;
- ქალთა მიმართ ძალადობის საქმეზე მომუშავე სამართლის სფეროს პროფესიონალები;
- ფართო საზოგადოება.

მეთოდოლოგია

- პოლიტიკასა და კანონმდებლობაზე, შესაძლებლობების გაძლიერებასა და ცნოებიერების ამაღლებაზე მორგებული ქმედებების კომბინირების გზით.

მოსალოდნელი შედეგები

- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიტიკისა და პრაქტიკის ცვლილება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მართლმსაჯულების ჯაჭვში გენდერულად მგრძნობიარე რეაგირება, განსაკუთრებით ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის ევროპის საბჭოსა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პროექტის ბიუჯეტი

- პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 1 000 000 ევროა.

პროექტის ხანგრძლივობა

- პროექტი 2023 წლის 1 მარტს დაიწყო და 2026 წლის 28 თებერვალს დასრულდება.

- მთლიანი პროგრამის ბიუჯეტი 19.3 მილიონი ევრო (80% დაფინანსებულია ევროკავშირის, ხოლო 20% ევროპის საბჭოს მიერ).

როგორ მივიღოთ მეტი ინფორმაცია?

- პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის
  ვებგვერდი: http://partnership-governance-eu.coe.int/
  ელფოსტა: dpc_pgg@coe.int
- ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში
  ვებგვერდი: https://www.coe.int/tbilisi;
  ელფოსტა: informtbilisi@coe.int

„პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“(PGG) არის ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი ინიციატივა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში კარგი მმართველობის გასაძლიერებლად.

PGG უზრუნველყოფს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მხარდაჭერას მათი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სფეროებში ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძოდ, ის მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საშინაო რეფორმებს მართლმსაჯულების გაძლიერების, ეკონომიკური დანაშაულისადმი წინააღმდეგობის, თანასწორობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობის, ქალების მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. PGG მხარს უჭერს საქართველოს ევროპული პერსპექტივის დღის წესრიგში, ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად.